სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 16

2020 წლის 05 მარტი

ქ. თბილისი

2020 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელთა გუნდის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და „2020 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 28 თებერვლის N13 ბრძანებით დამტკიცებული „2020 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობების" პირველი მუხლის „კ" ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის - მაია ქაჯაიას სამსახურებრივი ბარათის (N273159, 05.03.2020) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) მათემატიკაში:

ა.ა) ლიდერი - გიორგი ჭელიძე (ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ასისტენტ პროფესორი);

ა.ბ) თანალიდერი - გივი ნადიბაიძე (ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ასისტენტ პროფესორი);

ა.გ) ასისტენტი - უშანგი გოგინავა (ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი);

ბ) ფიზიკაში:

ბ.ა) ლიდერი - რამაზ ხომერიკი (ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი);

ბ.ბ) თანალიდერი - გრიგოლ ფერაძე (ფიზიკის მაგისტრი);

ბ.გ) ასისტენტი - არსენ ეგრისელაშვილი (ბაკალავრის სტუდენტი ფიზიკაში);

გ) ინფორმატიკაში:

გ.ა) ლიდერი - გიორგი მანდარია (პედაგოგოკის მეცნიერებათა დოქტორი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი);

გ.ბ) თანალიდერი - ზაზა გამეზარდაშვილი (თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი);

გ.გ) ასისტენტი - ვახტანგ შეკიშვილი (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების მართვისა და საინფორმაციო სისტემის IT სპეციალისტი);

დ) ბიოლოგიაში:

დ.ა) ლიდერი - ეკატერინე ბაკურაძე (ბიოლოგიის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

დ.ბ) თანალიდერი - ირინა მოდებაძე (ბიოლოგიის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

დ.გ) ასისტენტი - ნანა ბარნაველი (ბიოლოგიის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი);

ე) ქიმიაში:

ე.ა) ლიდერი - ელიზბარ ელიზბარაშვილი (ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი);

ე.ბ) ლიდერი - ვახტანგ კურცხალია (ქიმიის დოქტორი);

ე.გ) ასისტენტი - თინათინ ბუთხუზი (ქიმიის დოქტორი).

2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია